პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 258 (11869)

შაბათი, 5 ოქტომბერი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ჩვენი გულითადი საჩუქრები სამშობლოს

რუსთავში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

გუშინდელი დღე დაუვიწყარი იქნება რუსთავის მშრომელებისათვის. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინაქს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ქალაქის ცენტრში ვეება სარკესავით კრიალებს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი. დღის მეორე ნახევარში მოედნისაკენ დაიძრა ხალხის ნაკადი. მოდიან მეტალურგები, მეცემენტეები, ქიმიკოსები, მშენებლები, ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებათა მრავალათასიანი კოლექტივები.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. თითბერიძე საზეიმო მიტინგს გახსნილად აცხადებს. — რუსთავის მშრომელებს, — ამბობს იგი, —აღფრთოვანებს დიდი ლენინის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვა და ყურადღება. ჩვენი შრომითი საქმიანობა, მთელი ჩვენი ცხოვრება განათებულია დიდი ლენინისა და ლენინური პარტიის სიბრძნით.

ტაშის გრიალში ნელა ეშვება საბურველი. დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგებათ დიდი ლენინის საყვარელი სახე. ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნებს.

ვ. ი. ლენინის ძეგლის სიმაღლე კვარცხლბეკიანად 16 მეტრია. ქანდაკების ავტორები არიან სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. თოფურიძე და მოქანდაკე გ. ჯაფარიძე, ხოლო კვარცხლბეკისა — არქიტექტორები ვ. ნასარიძე და დ. პაპინაშვილი. ქანდაკება ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტ-სკულპტურაში“.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ქადაგიძე. იგი ახალგაზრდა ქალაქის მშრომელებს ულოცავს ამ საზეიმო დღეს და ამბობს, რომ დიდი ლენინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი პარტიისა და ხალხის ყველა ისტორიული გამარჯვება.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. შუბითიძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი ო. წერეკავა, ქიმიმთელი, ვ. ი. ლენინის ძეგლის მშენებლობის მონაწილე ბ. კუზნეცინი, რუსთავის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგი ე. რუხაძე.

დიდი ლენინის ძეგლი ამაყად გადმოსცქერის ნაქალაქარზე აღორძინებულ ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქს — რუსთავს.

ს. ახვლედიანი.

• • •

სურათზე: ლენინის ძეგლი ქ. რუსთავში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდი წვლილი ელექტროფიკაციის საქმეში

ამუშავდა კრემენჩუგის ჰიდროელსადგური

კრემენჩუგის ჰესის მშენებლებმა მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ 3 ნოემბერს ექსპლოატაციაზე გადასცეს კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის უკანასკნელი — მეთორმეტე აგრეგატი. დიდი დღესასწაულის წინ ჩვენმა სამშობლომ მიიღო 625 ათასი კილოვატი სიმძლავრის კიდევ ერთი ჰიდროელექტროსადგური, რომელმაც უკვე გამოიმუშავა 400 მილიონ კილოვატსაათზე მეტი იაფი ელექტროენერგია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ მისალმებაში მიულოცეს კრემენჩუგჰესშენის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზებულ და საპროექტო ორგანიზაციებს კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მიღწეული წარმატებანი.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ ამ ჰიდროსადგურის აგება დიდი წვლილია იმ საქმეში, რომ განხორციელდეს დიდი ლენინის ანდერძი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ. (საკდესი).

იბრძვის, იმარჯვებს ჩვენი დედაქალაქი

ქალაქ თბილისის მრეწველობის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავის აღსანიშნავად, ვადაზე ადრე შეასრულეს ათი თვის საწარმოო გეგმა და დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის გამოუშვეს 223 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

შარშანდელთან შედარებით საგრეწველო წარმოება 10,5 პროცენტით გაიზარდა.

ქალაქის მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას მისცა გეგმის გადამეტებით დიდძალი სხვადასხვა ხრახნსაჭრელი ჩარხი, ელექტროავტომატი, ელექტროსაშემდუღებლო გარდამქმნელი, მიკალენტი, სამშენებლო ნახევარფაბრიკატი, მოსაპირკეთებელი ფილა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 216 ათასი მეტრი შალისა და აბრეშუმის ქსოვილი, ორი მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 53 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 4.000 ტონა ხორცი, 3.950 ტონა რძის სხვადასხვა პროდუქტი, 336 ტონა დაფასოებული ჩაი, 62 ათასი დეკალტრი ღვინო, 294 ათასი ბოთლი შამპანური, 304 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი და ბევრი სხვა პროდუქცია.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, ნერგავენ რა ახალ ტექნიკასა და მოწინავე გამოცდილებას, სისტემატურად სრულყოფენ რა წარმოების ორგანიზაციას, მიაღწიეს შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვან ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებშია ქარხნები — ლენინის სახელობის ელექტროსაშენებელი, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათაშენებელი, „ელექტროავტომატი“; ფაბრიკები — აბრეშუმსაქსოვი, ძაფსართავი, საფეიქროსაგალანტერეო, თეფსაცმლის № 1, ჩაის საფრნი, თამბაქოს № 1; კომბინატები — საართავ-სატრიკოტაჟო, კერამიკული და სხვა.

ქალაქის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები დაუღალავად შრომობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. (საქდესი).

გულითადი მილოცვები

ქუთაისის ოლქის ნაროდიჩის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის განთიადის“ მწველავმა მარიამ ვასილის ასულმა ნენინუკმა წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს — ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს, რომელშიც ატყობინებს, რომ მან 15 ოქტომბერს შეასრულა თავისი ვალდებულება — თვითეულ ძროხაზე მიიღო შვიდი ათასი კილოგრამი რძე. მ. ვ. ნენიუკმა გადაწყვიტა წლის დამლევამდე მიიღოს კიდევ 500 კილოგრამი რძე თვითეულ ძროხაზე. ცენტნერი რძე კოლმეურნეობას უჯდება 66 მანეთი.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სამასუხო წერილში მიულოცა მარიამ ვასილის ასულს დიდი შრომითი გამარჯვება, უსურვა მას ახალი მიღწევები მუშაობაში, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად მიესალმა სასოფლო-სამეურნეო არტელის „კომუნიზმის განთიადის“ ყველა წევრს.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში ყარაღანდის ოლქის № 4 სბ-ბოთა მეურნეობის მეღორე კალისტრატე ილარიონის-ძე აფანასიევი ჩაება შეჯიბრებაში იაროსლავ ჩიჟოვან. აფანასიევმა შეისწავლა ჩიჟის მუშაობის გამოცდილება და ვალდებულება იკისრა გაასუქოს 1.000 ღორი და სახელმწიფოს ჩააბაროს 1.000 ცენტნერი ღორის ხორცი.

თავის წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვისადმი კ. ი. აფანასიევი წერს, რომ 1 ოქტომბრისათვის მან გაასუქა 990 ღორი და სახელმწიფოს ჩააბარა 1.050 ცენტნერი ხორცი, ერთი ცენტნერის თვითღირებულებაა 250 მანეთი. მეღორემ გადაწყვიტა წლის დამლევამდე ჩააბაროს კიდევ 500 ცენტნერი ღორის ხორცი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის წერილში კ. ი. აფანასიევისადმი გულითადად ულოცავს მეღორეს ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, უსურვებს მას შემდგომ წარმატებებს მუშაობაში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მხურვალედ მიესალმება სბ-ბოთა მეურნეობის კოლექტივს. (საკდესი).

ახალი ავტომობილები

გორკი. 3 ნოემბერი. (საკდესი). ოლქის გზებზე ცდიან სატვირთო ავტომანქანების ახალ საცდელ ნმუშებს, რომლებიც გორკის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა შექმნა შვიდწლედის გეგმით. მათგან პირველია „გაზ-52“. ტვირთამწეობით ის მანქანები ისეთივეა, როგორც ავტომანქანები „გაზ-51“, მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად სჭარბობენ მათ. 85 ცხენძალის ფორკამეროდ-ჩრდილდნული წვის ძრავა ადიდებს საშუალო და მაქსიმალური სიჩქარეებს. ბენზინის ხარჯვა 15 პროცენტით მცირდება.

მეორე ტიპის მანქანაა „გაზ-53“ 4 ტონა ტვირთამწეობით. იგი აღჭურვილია 127 ცხენძალის 8 ცილინდრული ძრავით და აქვს დაგრძელებული ბაქანი.

ორივე ამ საბოლოოდ დამუშავებული კონსტრუქციის მანქანები შეცვლიან ძველ სატვირთო ავტომობილებს, რომლებსაც გორკოველები უშვებენ.

მწყობრში — კიდევ ერთი საწარმო

ჩრდილოეთის ქვანახშირის აუზს შეემატა კიდევ ერთი საწარმო: კომბინატ „პეჩორშახტმშენის“ კოლექტივმა წინა საფიცესასწაულო შრომითი ვახტის დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცა შახტი № 20.

შახტში უკვე ამოიღეს პირველი ასი-ბით ტონა ქვანახშირი. ახალშენების სიმძლავრეა ნახევარი მილიონი ტონა ქვანახშირი წელიწადში.

საოქტომბროდ!

ბაუში. მძიმეწონიანი მატარებლების ტარების ოსტატთა რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდა მას შემდეგ, რაც სალოკომოტივო გუნდები საოქტომბრო შრომითს ვახტზე დადგნენ. უკანასკნელ სამ თვეში გატარებულია 925 მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 244.790 ტონა ტვირთი.

მოწინავეთა რიგებში არიან მემანქანეები რ. საყვარელიძე, გ. ლეკვეიშვილი, ნ. ბუტულაშვილი, კ. გოგალაძე და სხვები. ისინი ატარებენ მატარებლებს, რომელთა წონა 700-800 ტონით აღემატება დაწესებულ ნორმას. (სპ. კორ.).

ზუგდიდი. ყველ-ცარაქის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 25 ოქტომბრისათვის შეასრულა. გამოშვებულია 2.600 ათასი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.700 ათასი მანეთისა.

ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 806 ათასი მანეთი. („კომუნისტის“ კორ.).

ამას საქართველოს მშრომელები უძღვნიან

საუკუნეობით უკაცრიელ ადგილებშიც კი სიცოცხლე დაამკვიდრა ოქტომბრის მზემ. ისტორიულად ჩოკლე პერიოდში ჩვენ-ქვეყანამ მიაღწია აყვავებას, ააშენა ახალი ქალაქები და დაბები, სამშობლოს ოკეანეზე გაჩნდა ალი აღნიშვნები; ყველგან ბედნიერ ცხოვრება ჩქეფს.

დიდი ოქტომბრის მზის ქვეშ ამ რესპუბლიკების ოჯახში ფანდიოზული გამარჯვებები მოიგო საბჭოთა საქართველომ, ადამიანებიც რამდენიმე თვის შემდეგ იზეიმებს 40 წლისთავს. ამ ხანგრძლივ დროში საქართველო აგებული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ რესპუბლიკად.

ეკონომიკურ ტემპით განვითარდა მეცნიერება და კულტურა. გვყავს საკუთარი მეურნეობის მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრები. ყველიფერ ეს დიდი ოქტომბრის ბრძოლაუფალი ხალხის შრომისა, ბრძოლთა ძლევამოსილი მეგობრობის შედეგია. ოქტომბერს, მის ბელად ძალას უმადლიან საბჭოთა ადამიანები ბედნიერ ცხოვრებას.

ბეტალურგთა ქალაქის — რუსთავის მშრომელებმა მრავალი ეროვნული საჩუქარი უძღვნეს დიდ ოქტომბრს. ქალაქის მოედანზე ბრძოლთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ბელადმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი. ბანა მარტო რუსთავში — ლენინის ძეგლი აღმართეს თეთრი ბოლოს რაიონშიც.

საქართველოს საწარმოთა კოლექტივებმა, კოლმეურნეობებმა საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობა შრომის ბრიგადებმა და დამკვრელებმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ ეროვნულ წარმატებებს მიაღწიეს.

ბელადის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 25 ოქტომბრისათვის თერთმეტი თვის ბოლოს შეასრულა და მარგანეცის ბანკის ანგარიშში იძლევა ორმაგ წარმატებით შრომობენ დიდ ბრძოლებსა და ალექსინინის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ბრიგადებს აღწევენ ტყიბულელები და ტყვარჩელის მეშახტეები, ზესტაფონის მეტალურგები, რუსთავის მეცემენტეები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მათ სამშობლოს ვადამდე უპატაკეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმების შესრულება. წარმატებით ემზადებიან საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრებისათვის, თავდადებით შრომობენ და მტკიცე საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

უფრო მაღლა ავწიოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა. არ შეგვიძლია დიდი ოქტომბრის 43-ე წლისთავის აღსანიშნავად აღებული შრომის ტემპი. ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ წლიური გეგმები შევასრულოთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 3 ნოემბრის ცნობა საშემოდგომო მარცვლეულის თესვისა და მზრალად ხვნის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ

უხვი მოსავლის დედა

ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები აქედანვე მტკიცე საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს.

სტატისტიკური სამმართველოს ცნობით მთელ რიგ რაიონებში უკვე გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო მარცვლეულის თესვისა და მზრალად ხვნის გეგმები. მაგალითად 3 ნოემბრისათვის გურჯაანის რაიონს თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 112,6 პროცენტით, თელავის რაიონს — 104,5 პროცენტით, თიანეთის რაიონს — 130,6 პროცენტით, ახალციხის, ასპინძის, ამბროლაურის რაიონებს — 100,0 პროცენტით. წითელწყაროს რაიონს — 96,9, — სიღნაღის რაიონს — 95,2 პროცენტით.

მზრალად ხვნის გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ ხაშურის რაიონი — 110,1 პროცენტი, წითელწყაროს რაიონი —98,3 პროცენტი, ასპინძის რაიონი —93,9 პროცენტი, ახალციხის რაიონი —88,6 პროცენტი და სხვ. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის რაიონების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია მზრალად ხვნაში. წულუკიძის რაიონს მზრალად ხვნის გეგმა შესრულებული აქვს 9,0 პროცენტით, მარნეულის რაიონს — 14,7 პროცენტით, ყვარლის რაიონს —18,6 პრცენტით, საგარეჯოს რაიონს — 25,5 პროცენტით, სამგორის რაიონს — 36,8 პროცენტით, დმანისის რაიონს — 34,4 პროცენტით და ა. შ. ხოლო აფხაზეთში მზრალად ხვნის გეგმის შესრულება 0,7 პროცენტს უდრის. სულ რესპუბლიკაში თესვის გეგმა შესრულებულია 86,8 პროცენტით, მზრალად ხვნა — 53,5 პროცენტით.

რას მოწმობს ეს მონაცემები? როგორც ჩანს, ზოგიერთ რაიონში დაიგვიწყეს, რომ საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა უხვი მოსავლის დედაა, ისეთი მნიშვნელოვანი აგროღონისძიებაა, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული მოსავლიანობის ზრდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

სოფლის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან მუშაობა, ყველა პირობა შეუქმნან მხვნელ-მთესველებს იმისათვის, რომ შვიდწლედის მეორე წელს მარცვლეულის საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის გეგმები აუცილებლად და გადაჭარბებით შესრულონ.



ამას შენზე ამბობენ, ჩემო ქვეყანავ!

საჰაერო ლაინერებსა და ჩქარმატარებლებს, გემებსა და ავტობუსებს დღედღეს ჩამოჰყავთ საბჭოთა საქართველოში უცხოელი სტუმრები. ზოგ მათგანს აინტერესებს ჩვენი რესპუბლიკის დათოვლილი მწვერვალები და ამწვანებული ხეობები, აყვავებული ქალაქები და სოფლები, ისტორიული ძეგლები და კულტურის კერები, ზოგი კი ჩამოდის იმისათვის, რომ გაეცნოს ახალი, სოციალისტური საქართველოს სამეურნეო მშენებლობის გამოცდილებას.

ალექსანდრე ატოუნი აფრიკელია, იგი ჩამოვიდა ჩვენში თავისუფლებისმოყვარე ქვეყანა ტოგოდან, რომელიც გვინეის უყრის ნაპირზე მდებარეობს. ეს ტანადი, შავკანიანი ჭაბუკი მეთაურობს ტოგოს რესპუბლიკის „ახალგაზრდა მშრომელთა კავშირს“, აფრიკელ სტუმარს აინტერესებდა საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების ყოველი მხარე, ჩვენი ახალგაზრდული და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის გამოცდილება.

— საბჭოთა კავშირში მე ვნახე ახალი სამყარო, — განაცხადა ალექსანდრე ატოუნმა. — დასავლეთის პროპაგანდა ხატავს საბჭოთა ხალხის ცხოვრების სულ სხვა სურათს. ახლაც კი, საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ, პარიზში მითხრეს, მოსკოვი შიმშილისა და სიღატაკის ქალაქია. ახლა, როცა ვხედავ თქვენი ქვეყნის სიდიადეს, კოშტუნდები, რაოდენ უბადრუკია ეს სიცრუე. მე, ისევე როგორც აფრიკელთა უმრავლესობას, მესმის იმპერიალისტური პროპაგანდის მიზნები. მათ უნდათ აფრიკის ხალხები ჩამოაშორონ საბჭოთა კავშირს. მაგრამ მათი ცდები ამაოა, აფრიკის ხალხებს საბჭოთა კავშირი ერთგულ მეგობრად და

თავიანთი ინტერესების დამცველად მიაჩნიათ.

გამოჩენილი ამერიკელი თეატრალური მოღვაწე ნიუ-იორკის „ფენიგსთეატრის“ ხელმძღვანელი **ნორის ჰოუტონი** ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული გაცვლის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. ის იყო კულტურულ დაწესებულებებში, თეატრებში, გაეცნო თბილისის თეატრალური ინსტიტუტის საქმიანობას.

ნორის ჰოუტონმა გულთბილად ილაპარაკა ქართულ თეატრზე. ქართულ სცენას, თქვა მან, ჰყავს ბევრი ნიჭიერი მსახიობი, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი შემოქმედებით დაამშვენონ მსოფლიოს ყოველი სახელგანოქმული თეატრი. ამერიკელმა სტუმარმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარაძე დიდი ოსტატობით ასრულებს ქადგის როლს სპექტაკლ „ბახტრიონში“. მე და ჩემი ამერიკელი კოლეგები, თქვა ჰოუტონმა, ინტერესით მოველით ჩვენს ქვეყანაში თქვენი შესანიშნავი მსახიობის აკაკი ხორავას ჩამოსვლას.

ჩვენში ჩამოვიდნენ ჩრდილოელი მეზობლებიც—ნორვეგიელი სტუმრები— ქალაქ ოსლოს არქიტექტორ-დეკორატორი — **ოლავ შინარმო** და ბერგენის თეატრ „სახალხო სცენის“ მსახიობი **სენერ ფოგე.** თბილისს გარდა ისინი იყვნენ მცხეთაში, იმოგზაურეს ბათუმში. ნორვეგიელ სტუმრებს თბილისში მოელოდათ სიურპრიზი. ისინი მიიწვიეს რუსთაველის სახელობის თეატრში თანამედროვე პროგრესული ნორვეგიელი დრამატურგის კნუტ სენდერბიუს პიესის „ქალთა ჯანყების“ რეპეტიციზე. სტუმრებს მოეწონათ ქართველ მსახიობთა თამაში, სიხარული გამოთქვეს იმის გამო, რომ საბჭოთა ადამიანები გაეცნობიან თვალსაჩინო ნორვეგიელი მწერლის შემოქმედებას.

ახალ-ახალი შრომითი მიღწევებით ეგებებიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდი ოქტომბრის 43-ე წლისთავს. კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ახლა დღითიდღე ფართოდ ჩადგება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის. შეჯიბრებაში დაწინაურდა და მაღალპროფიერი შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი გიორგი მოსულაშვილი. იგი ერთდროულად უვლის 12 ძროხას, მომდინარე წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო ორი ათასი ლიტრი რძე.

სურათზე: მწველავი გიორგი მოსულაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ლენინის ქალაქის სიხარული

ლენინგრადში, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება საზეიმო დღეების წინ, ხალისიანი განწყობილებაა. ასობით საწარმოსა და დაწესებულების კოლექტივები დიდი ხანია ემზადებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების იუბილესათვის. და აი ქალაქი ჩვენს წინაშე გადაშლილა — ხალისიანი სახეებით, ილუმინაციის შუქით, ალმების ფრიალით.

ლენინგრადელები დიდი, მრავალეროვანი, შეხმატკბილებული ოჯახია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ყველაფერში — სიხარული ერთმანეთთან აახლოებს ადამიანებს. ასეულ ათასობით მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ამ დღეებში ლენინგრადელებმა თავიანთ თანამემამულეებს, მეგობრებსა და ნაცნობებს შუა აზიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და, რა თქმა უნდა, საქართველოში. ლენინგრადელთა ოჯახში ხომ ბევრი ქართველია. მათი სადღესასწაულო დეპეშები მილოცვას და წარმატების სურვილებს შეიცავენ.

დღეს რომ შეგხედოთ ახალმშენებლობათა რაიონებს, გაგვაოცებს სამუშაოთა გაქანება. დღესასწაულის წინ ლენინის ქალაქში ყოველდღე გადასცემდნენ საექსპლოატაციოდ რამდენიმე ხუთსართულიან კარგად მოწყობილ საცხოვრებელ შენობას. იქმნება ახალი ქუჩები, ბაღები, სკვერები. ეს არის დამთავრდა საშემოდგომო რგვა — დარგულია ნახევარ მილიონზე მეტი ხე [illegible] და ბუჩქი.

გაჩაღებულ საქალაქო მშენებლობაში თავისი წვლილი შეაქვს ლენინგრადის არქიტექტორს ი. მეთხორიშვილსაც, რომელსაც დღეს ინსტიტუტ „ლენპროექტის“ ერთ-ერთი წამყვანი სახელოსნოს ხელმძღვანელის მოადგილის პოსტი უჭირავს. ქართველი არქიტექტორები ლენინგრადის ახალშენებათა სხვა ძირითად უბნებზეც შრომობენ. საბჭოთა ხელისუფლების სახელოვან წლისთავს ისინი ახალი მიღწევებით შეხვდნენ.

ლენინგრადის ფოლადსადგენავი ქარხნის პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მიდის. ქარხნის კოლექტივი დღეს პატაკს იძლევა საწარმოო გამარჯვების შესახებ. ამ საწარმოში ფოლადის ნაწარმის საწრთობად ახალ მძლავრ ელექტროღუმელებს იყენებენ. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი ეს ღუმელი მწყობრიდან გამოვიდა იმ დროს, როცა მეორე შესაკეთებლად იყო გაჩერებული. ღუმელის შესაკეთებლად საჭირო იყო სამი დღე-ღამე, სანამ იგი გაცოცდებოდა. მაგრამ მაშინ გიგმა-ჩაიშლებოდა. მხოლოდ მიღებული გმირული ზომებით მოხერხდა ღუმელის ამუშავება ოცდაცხრა საათის შემდეგ — გეგმა გადარჩენილ იქნა.

მაგრამ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ავარიები მომავალში? ამას ჩაუფიქრდა ქარხნის მექანიკოსი დ. ლომიძე. მან ღუმელის რეკონსტრუქცია მოახდინა. ახლა გამახურებელ ელემენტებს ღუმელში გარედან დგამენ სპეციალური კასეტებით, და მუშაობა შეუფერხებლად წარმოებს.

ასეთი მაგალითი ბევრია ლენინის ქალაქის შრომითის ყოველდღიურობაში. შეწყობილად შეხმატკბილებულად მუშაობენ ლენინგრადელები. გაბედული აზრი, ნოვატორობა — აი რა ახასიათებს მათ. მთელ ჩვენს ქვეყანასთან არის დაკავშირებული ლენინგრადი. ბევრი რამ კეთდება აქ საქართველოსთვისაც. მაგრამ ნევის ქალაქშიც მოდის საქართველია ნახევარ მილიონზე მეტი ხე [illegible] ბუსტი მრეწველობის ნაწარმი.

ლენინგრადი — საქართველო, ლენინგრადი — ბაშკირეთი, ლენინგრადი — უკრაინა... ასეთი ურთიერთობა წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. აი მარტო ამ დღეებში ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანაში დიდი ოქტომბრის ძღვნად ვადამდე ამენდა დიდი კომფორტაბელური სამგზავრო საზღვაო თბომავალი „მოლდავეთი“. იგი შავ ზღვაში წავა და საქართველოს, ყირიმის, ოდესის ნავსადგურებს შუა იგელის.

იჟორის ქარხანაში ნოვატორებმა ოქტომბრის წინადღეებში შეაჯამეს თავიანთი საქმეების შედეგი. აღმოჩნდა, რომ მათ მიერ ორი წლის განმავლობაში დაიერგილმა წინადადებებმა ხახელწიფოს მილიარდ მანეთზე მეტი მისცა! ეს საჩუქარია შვიდწლედისათვის. ქარხნის წარმოების საუკეთესო მუშაკმა გ. სმირნოვმა ვალდებულება იკისრა თავისი გამოგონებებით ორი მილიონი მანეთი დაზოგოს, ხოლო ანაზღაურება, რაც მას ამისათვის ერგება. მუშათა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გადასცეს.

ამ დღეებში მთავრდება რკინიგზის ელექტროფიკაცია ლენინგრად-მალაია ვიშერას უბანზე. მალე ელექტრომავლები ივლიან მოსკოვამდე. ამ დღეებში პირველი მუშა მატარებლები გავიდოდენ ლენინგრადის მეტროს მეორე რიგის ხაზზე ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და გამარჯვების პარკს შუა. ლენინგრადელებმა ააგეს ჰიდროელექტრო ტურბინა და 215-225 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროგენერატორი ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს დეტალია, ხოლო ინ საერთო სურათი: ასრულებდნენ რა ტექნიკური პროგრამის გეგმას და მოსკოვის მშრომელებთან შეჯიბრებაში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოქტომბრის საწარმოთა კოლექტივებმა მიმდინარე წლის სამ კვარტალში აითვისეს 659 ახალი მანქანა, ხელსაწყო და ნაწარმი.

ვადამდე, 22 ოქტომბერს, შესრულდა ათი თვის გეგმა. საწარმოებში განხორციელდა ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, საექსპლოატაციოდ გადაცემულია 261 ავტომატიზებული, მექანიზებული და ნაკადური ხაზი.

ლენინგრადი — დიდი ოქტომბრის აკვანი — ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნავს საყოველთაო — სახალხო დღესასწაულს.

ო. კარიშევი.

სურათზე: ლენინგრადის ერთ- ერთი კუთხე.

ნახავ მოსკოვს — მშვიდობიანს, დედაქალაქს, მის სიდიადეს და დაბადებებს. ნახავ და ვერ დაიჯერებ მის თვალუწვდენ პროსპექტებს, ლენინგრადი რომ ლამაზდება და მშვენდება, მდინარე მოსკოვს, დიდი ოქტომბრის ამ უტყვ მატიანეს, ლენინის გორებს...

დიახ, დიდებული სანახავია მოსკოვი, მოსკოვური საღამოები.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

მოსკოვი უპატაკებს

მოსკოვი, 3 ნოემბერი. (საკადესი). დაამზადეს 1960 წლის გეგმის გადაჭარბებით სოფლის მეურნეობისათვის სამი ათასი ელექტროძრავა მთლიანად დაზოგილ ენერგიასა და მასალებისაგან — ასეთი ვალდებულება იკისრა წლის დამდეგს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილების პასუხად მოსკოვის კიროვის სახელობის ქარხანა „დინამოს“ კოლექტივმა. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ ქარხნის საამქროებში გავრცელდა სასახარულო ცნობა — ვალდებულება ვადამდე შესრულებულია.

თბილისი ზეიმის წინ

თბილისი ყოველთვის მშვენიერია. მაგრამ სახალხო დღესასწაულის დღეებში იგი კიდევ უფრო ლამაზი ხდება. აი ახლაც ქალაქი ირთვება წითელი ალმებით, ცოცხალ ყვავილთა გირლანდებით, შენობებზე გაჭიმულია ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია კომუნისტური პარტიის მადიდებელი სიტყვები, პარტიისა, რომელმაც ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა მშრომელ ადამიანს.

საბჭოთა ხალხის სახელოვანი ტრადიციების ერთგული თბილისელები დღესასწაულს აღნიშნავენ შესანიშნავი გამარჯვებებით შრომაში. ზედიზედ უპატაკებენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომ ვადამდე შეასრულეს ათი თვისა და თერმეტი თვის გეგმები, დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ახალი წარმატებანი მოიპოვეს საოქტომბრო შრომითს ვახტზე ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა. საწარმომ გამოსაცდელ გარეტნაში გამოუშვა კიდევ ერთი მძლავრი რვაღერძიანი ელმავალი. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ მეელმავლეებმა მეშვიდეჯერ ზედიზედ მოიპოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

კარგად მიდის ჩვენი საქმეები საოქტომბრო შრომითს შეჯიბრებაში, — აცხადებს აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის კოლექტივი. წლის დამდეგიდან ფაბრიკამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 195 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ზედიზედ თერთმეტჯერ მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მოწყობილობა და მანქანები გამოუშვა პროგრამის გადამეტებით კვების მრეწველობისათვის ს. ორჯონიკიძის მანქანათსამშენებლო ქარხანამ. ტრიკოტაჟ-გალანტერიის ნაწარმი, შალის ქსოვილები, შამპანური, სამკაულები საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებისათვის... ყოველი ქარხანა, ფაბრიკა ცდილობდა გამოეშვა რაც შეიძლება მეტი პროდუქცია.

ოქტომბერმა გზა გაუკაფა ახალ ცივილიზაციას

რევოლუციურ გადატრიალებათაგან, რომლებიც კაცობრიობამ გამოიარა, ოქტომბრის რევოლუცია გრანდიოზული და ყველაზე რადიკალური იყო როგორც მის მიერ გამოცხადებული იდეებით, ისე მისი პრაქტიკული შედეგებით. მან დასაბამი მისცა კაცობრიობის გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, მთელი მსოფლიოს ხალხებს გადაუშალა დიადი პერსპექტივები ახალი საზოგადოების შექმნისა, რომელშიც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და რომელიც ცივილიზაციის ყველა სიკეთეს მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის იყენებს.

დიდმა ოქტომბერმა უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ამბების მთელ მიმდინარეობაზე. საბჭოთა სახელმწიფოს გაჩენის დროიდან საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური ღერძი გახდა სსრ კავშირის ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. მთელ ბურჟუაზიულ პროპაგანდისტულ მანქანას, იმპერიალისტთა ხელში არსებულ იდეური და პოლიტიკური ზეგავლენის ყველა საშუალებას იყენებდნენ მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ იდეების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლთა მატარებელი და გამომხატველია საბჭოთა კავშირი. საბჭოთა სახელმწიფოს გაჩენის დროიდან პირისპირ დადგა ურთიერთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ორი სისტემა — ახალგაზრდა და მზარდი სოციალისტური სისტემა და კაპიტალიზმის დრომოჭმული სისტემა. ამასთან სოციალისტურმა სისტემამ ერთბაშად იწყო კაპიტალიზმთან შედარებით თავის უპირატესობათა გამოვლინება. საბჭოთა ხალხმა, გარედან ყოველგვარი დახმარების მიუღებლად, ხაჯუთარი ძალებითა და საშუალებით, უმოკლეს ისტორიულ ვადებში წარმატებით დაძლია თავისი ქვეყნის საუკუნეობრივი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, შექმნა მძლავრი სოციალისტური წარმოება, განახორციელა უდიდესი რევოლუციური გარდაქმნები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ახალი, სოციალისტური წყობილების ძალამ და უძლეველობამ განსაკუთრებით ცხადად იჩინა თავი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სამამულო ომში. ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკის საბჭოური ლაშქრობა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ კრახით დამთავრდა. ფაშისტური ტრარანიისაგან განთავისუფლებულ იქნენ ევროპის ხალხები. ბევრ ქვეყანაში გაჩაღებულ მძლავრ ანტიფაშისტურ მოძრაობას შედეგად მოჰყვა ის, რომ კაპიტალიზმს ჩამოშორდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებშიც დამკვიდრდა სახალხო დემოკრატია. ისინი განვითარების ახალ, სოციალისტურ გზას დაადგნენ. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, მსოფლიო სისტემად გადაიქცა, კაპიტალიზმი კი უძლური აღმოჩნდა ხელი შეეშალა ამ მსოფლიო-ისტორიული პროცესისათვის. განსაკუთრებით მოკლე ისტორიულ ვადებში მსოფლიო სოციალისტური სისტემა განვითარდა და განმტკიცდა, დაამტკიცა თავისი უდიდესი უპირატესობანი საწარმოო ძალების სწრაფ ზრდაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურის ამაღლებაში.

სოციალიზმი, რომელიც ბევრად უსწრებს წინ კაპიტალიზმს ეკონომიური განვითარების ტემპების მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამისის სათავეშიც დგას. აღმოჩენებმა, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა მეცნიერებმა გააკეთეს, განსაზღვრეს ძირითადი ხაზები სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა, რომელიც, უეჭველია, უდიდეს გავლენას მოახდენს საზარმოო ძალების ზრდაზე, ადამიანთა მთელ. საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. ახლა უკვე არცერთ პატიოსან ადამიანს არ შეიძლება აეტკვეფდეს, რომ სოციალიზმი აღმავალი და ყოგლისმაღალ წყობილებაა, ახალი ცივილიზაციის პირველსახეა, მთელი კაცობრიობის მომავალია.

თბილისი

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ფილად გვხვდა ბედნიერება დაგვეყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დაგვეყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა.

ვ. ი. ლენინი.

თბილისი ზეიმის წინ

თბილისი ყოველთვის მშვენიერია. მაგრამ სახალხო დღესასწაულის დღეებში იგი კიდევ უფრო ლამაზი ხდება. აი ახლაც ქალაქი ირთვება წითელი ალმებით, ცოცხალ ყვავილთა გირლანდებით, შენობებზე გაჭიმულია ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია კომუნისტური პარტიის მადიდებელი სიტყვები, პარტიისა, რომელმაც ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა მშრომელ ადამიანს.

საბჭოთა ხალხის სახელოვანი ტრადიციების ერთგული თბილისელები დღესასწაულს აღნიშნავენ შესანიშნავი გამარჯვებებით შრომაში. ზედიზედ უპატაკებენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომ ვადამდე შეასრულეს ათი თვისა და თერმეტი თვის გეგმები, დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

ახალი წარმატებანი მოიპოვეს საოქტომბრო შრომითს ვახტზე ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა. საწარმომ გამოსაცდელ გარეტნაში გამოუშვა კიდევ ერთი მძლავრი რვაღერძიანი ელმავალი. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ მეელმავლეებმა მეშვიდეჯერ ზედიზედ მოიპოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

კარგად მიდის ჩვენი საქმეები საოქტომბრო შრომითს შეჯიბრებაში, — აცხადებს აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის კოლექტივი. წლის დამდეგიდან ფაბრიკამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 195 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ზედიზედ თერთმეტჯერ მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მოწყობილობა და მანქანები გამოუშვა პროგრამის გადამეტებით კვების მრეწველობისათვის ს. ორჯონიკიძის მანქანათსამშენებლო ქარხანამ. ტრიკოტაჟ-გალანტერიის ნაწარმი, შალის ქსოვილები, შამპანური, სამკაულები საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებისათვის... ყოველი ქარხანა, ფაბრიკა ცდილობდა გამოეშვა რაც შეიძლება მეტი პროდუქცია.



სოციალიზმის მშენებლობაში დიდი გამარჯვებები მოიპოვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. ყველა სოციალისტური ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულება მთელი მსოფლიოს ხალხთა მომავალი თანამეგობრობის პირველსახეა. ეს ურთიერთდამოკიდებულება დაფუძნებულია სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპებზე, ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე.

იმპერიალიზმის იდეოლოგები და მეთაურები ცდილობენ ცალი დასწამონ სოციალისტურ ბანაკს და ლაყბობენ მცირე სოციალისტური ქვეყნების „არათანასწორუფლებიან“ მდგომარეობაზე, მათს ვითომდა დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირისაგან. ამ ლაყბატონებს, რომლებიც მიზეული არიან ყველაფრის თავიანთი ადვილი ზომვის, არ შეეძლიათ მიხვდნენ, რომ დიდსა და მცირე ქვეყნებს შორის შეიძლება იყოს თანასწორუფლებიანობა. მათ არ შეუძლიათ და არა სურთ დაინახონ ის, რომ სოციალისტური ქვეყნები შეკავშირებული არიან სოციალური ეკონომიური წყობილების ერთი ტიპით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველასათვის საერთო იდეოლოგიით, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში საერთო ინტერესებითა და მიზნებით. სოციალიზმის ქვეყნებმა მოაწყეს ფართო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა, დაწესეს შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილება, ახორციელებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, ერთმანეთს უთანხმებენ ეკონომიური და კულტურული „განვითარების ხაზს, რათა ერთიანი ფრონტით იარონ კომუნიზმისაკენ.

ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მილიონობით ადამიანი სულ უფრო იმსჭვალება ამის შეგნებით, რომ მხოლოდ სოციალიზმს მოაქვს მშრომელთათვის ექსპლოატაციის უღლისაგან, რასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან, უმუშევრობის, უმეცრებისა და სიღატაკისაგან განთავისუფლება. უკვე მარტო ის, რომ სოციალიზმი ყოველდღიური პრაქტიკის საქმე გახდა, მილიარდი ადამიანის ცხოვრებასა და ყოფაში დამკვიდრდა, მოუშობს მის უძლეველ ძალას. იზრდება კომუნისტური და მუშათა მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მოძმე პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების შემდეგ მარტო სამ წელიწადში გაჩნდა 13 ახალი კომუნისტური პარტია. სულ კი ამჟამად არსებობს 86 კომუნისტური და მუშათა პარტია, რომლთა რიგებში გაერთიანებულია 36 მილიონზე მეტი კაცი.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რომ მთელი კაცობრიობა მიაღწევს სოციალიზმს, კომუნიზმს — ისეთ პარმონიულ საზოგადოებას, რომელშიც ანტაგონისტური კლასები არ იქნებიან და რომელიც დაყარებული იქნება ყველაზე ჰუმანურ პრინციპზე: ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარია“.

დიადმა გამარჯვებებმა, რომლებიც სოციალიზმმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს კოლონიების ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მსვლელობაზე. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს, რომ სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, დაიწყო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის ძლაფრი პროცესი. ყოფილი კოლონიების მოსახლეობის 1.400 მილიონზე მეტი კაცი უკვე დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც ერთგული არიან თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობისა, კოლონიების ჩაგრული ხალხებისადმი რევოლუციური პროლეტარიატის სოლიდარობის ლენინური მოძღვრებისა, ძმური დახმარების ნებელს უწვდიან ყველა ხალხს, დიდ და მცირე ხალხებს, რომლებიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ ირაზმებიან. საბჭოთა ხალხი, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე განაცხადა, იმათ მხარეზეა, ვინც იბრძვის კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სამარცხვინო კოლონიური სისტემის დამსხვრევა იმ გავლენის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა, რომელიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა კაცობრიობის ისტორიულ ბედზე. ცნობილია, რომ ოქტომბერმა პირველი მძლავრი დარტყმა მიაყენა იმპერიალიზმს არა მარტო მისი ბატონობის ცენტრებში, არამედ ზურგშიც, ძირი გამოუთხარა მის ბატონობას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც უკვე დამოუკიდებელი არიან, მადლობის ღრმა გრძნობით მოიწონეს საბჭოთა კავშირის პოზიცია, მისი შეურიგებელი ბრძოლა ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისათვის. ასამბლეაზე კამერუნის დელეგაციის მეთაურმა, მიმართა რა ნ. ს. ხრუშჩოვს, თქვა: „მე მადლობელი ვარ თქვენი იმისათვის, რომ აფრიკის ნაწილი თავისუფალია. ხოლო თუ თქვენს ღონისძიებებს გაგაგრძობთ, მთელი კაცობრიობა თავისუფალი იქნება“.

უდიდესია ჩვენი ქვეყნის დამსახურება მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გაჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი მოგვითითებდა, რომ ამ საკითხშიც ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო — მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ასეულ წლების მანძილზე პირველად, მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგი გადაქცეულ იქნა, ლენინის სტატეგიამ, ბუნდოვანი და უძლური მოლოდინიდან ნათელ, მკაფიო პოლიტიკურ პროგრამად, მილიონთა ქმედითს ბრძოლად.

საყოველთაო და მტკიცე მშვიდობა, რომლისთვისაც იბრძვის კეთილი ნების ყველა ადამიანი, იგი ამჟამად მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მთავარი, ძირეული საკითხია. მის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია საზოგადოების შემდგომი პროგრესული განვითარების ბედი. განიარაღება და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუველყოფა უსაზღვრო გასაქანს მისცემდა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების განვითარებას, ყოველმხრივ და სწრაფ პროგრესს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. და თუ დღეს არსებობს რეალური პერსპექტივები მშვიდობის მოპოვებისათვის, იმპერიალიზმის დანაშაულებრივი ზრახვების აღკვეთისათვის, ეს იმიტომ არის, რომ არსებობს მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო, მზარდი მსოფლიო სოციალისტური სისტემა — ოქტომბრის რევოლუციის იდეების განსახორციელება.

ამ იდეების დროშით ირაზმებიან სულ ახალი და ახალი პროგრესული ძალები, რომლებიც მიდიან ომის, კაპიტალისტური მონობის შავბნელ ძალებზე გამარჯვებისაკენ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ს. ტიტარენკო.

სოციალიზმის ქვეყნები ზეიმოგენ

△ **პეკინი**, 3 ნოემბერი. (საკადესი). ჩინელი ხალხი ემზადება ფართოდ აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავი. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პეკინის სახლში გაიხსნა ფოტოგამოფენა „სსრ კავშირის მშენებლობანი“, გამოფენის ექსპოზიციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ფოტოსტენდებს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შესახებ, მრეწველობის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, კოსმოსის თვისებასა და ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში მის დიდ წარმატებათა შესახებ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების შესახებ.

ჩინეთის ყველა პროვინციულ ცენტრსა და ბევრ სხვა ქალაქში აგრეთვე იხსნება ფოტოგამოფენები „საბჭოთა ხალხი შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში“.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით დღეს პეკინში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია. რომელსაც მეთაურობს რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. ნ. სტოლეტოვი.

△ **ვარშავა**, 4 ნოემბერი. (საკადესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად ვარშავის, ლოძის, ზემო და ქვემო სილეზიისა და პოლონეთის სხვა რაიონების ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივები საწარმოო ვახტზე დგებიან, კისრულობენ ვალდებულებებს ვადამდე შეასრულონ საგეგმო დავალებანი და გამოუშვან ზეგეგმიური პროდუქცია.

ხვალინდელი დღეც და გათენდება დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დილა, დილა სახალხო ზეიმისა. თბილისში დიდი მზადებაა — ირთვება იკაზმება ქალაქი. ცხარე მუშაობაა გაჩაღებული სამხატვრო სახელოსნოებში, იხატება პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები. უჩვეულოდ ახმაურებელ ქუჩებში ყოველთვის ხალხმრავლობაა. აი ეს პატარაც თავისებურად ემზადება დღესასწაულისათვის — დედას ფერად-ფერადი ბურთების საყიდლად იხმობს, რათა 7 ნოემბრის დილას თავისი მცირედი საჩუქრით შეეგებოს.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

△ **ბუქარესტი**, 4 ნოემბერი. (საკადესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა მზრომელნი. ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავის დღესასწაულისათვის. ამ დღეებში მთელ პოლონეთში ამართება საზეიმო სხდომები, ლექციები [illegible] ხაუბრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, საბჭოთა მშრომელების მიღწევებზე კომუნისტური მშენებლობაში. ქარხნებში, ფაბრიკებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, სოფლის სამკითხველოებში გაიხსნა ფოტოენები, რომლებიც ასახავენ დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს.

△ **ბუქარესტი**, 4 ნოემბერი. (საკადესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა მშრომელნი. ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავის დღესასწაულისათვის. ამ [illegible] [illegible] ... ტრადიციულ კროსში. გუშინ ესტაფეტა მონაწილენი ბუქარესტში ახალგაზრდობის სტადიონზე შეხვდნენ 4 ათას ქალაქელსა და ჭაბუკს. აქ მიღებულ [illegible] მეგობრობის წერილი საბჭოთა სპორტსმენებისადმი. ესტაფეტა შემდეგ გაივლის მოლდოვის ქალაქებში. 6 ნოემბერს ესტაფეტა და წერილი გადაეცემათ საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლებს სახაზღვრო სადგურ უნგენში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა, პეკინის ტელეცენტრმა და ჩინეთის სხვა ქალაქების ტელეცენტრმა და რადიოსადგურებმა ოქტომბრის 43-ე წლისთავს მიუძღვნეს ლექციების, მუსიკალურ და ლიტერატურულ-მხატვრულ გადაცემათა ციკლი.

5 ნოემბერს პეკინში გაიხსნება საბჭოთა კინოფილმების ტრადიციული ფესტივალი, რომელიც გაიმართება ჩინეთის 12 დიდ ქალაქში. ფესტივალის დროს უჩვენებენ ფილმებს „მოთხრობები ლენინზე“, „ულიანოვების ოჯახი“, „თოფიანი კაცი“, „მიჩმანი პანინი“, „კიეველი ქალიშვილი“ და სხვ.

... ...

[illegible]

[illegible]

[illegible]

თეთრწყაროელები სიჯყვის ხაღხია

თეთრწყაროელთა სიტყვა ისეთივე ბარაქიანია, როგორც მათი ნოყიერი ბალ-ბოსტანი მიწები, სავენახე და სა-ბოსტნე ნაკვეთები...

ასეა ეს სიტყვაა, ამას ჩვენ ვამ-ბობთ, თორემ, აბა ერთი აქაური კომუნი-სტებისაც კითხეთ, ბეტყვიან:

— ჩვენ რომ შესაძლებლობა გვაქვს, ეს სიტყვა ძაინც ვერა ვთქვითო.

— რატომ? — გაიკვირვებთ და უნებ-ლეთ მიაძახებთ:

— აბა თქვენს მიერ წლიური გეგმის ასრულება რას ნიშნავს? ჯერ ოთხ თვე გავიდა და ხორცის ნაკრების გეგმა ორნახევარჯერ ჭარბადაა შესრულებული, ხოლო ყოველ ძროხაზე ნაწარმოების ვალდებულება გეგმა-ზე 250 ლიტრით მეტია, ამ ვალდებულე-ბის შესრულებასაც ხომ თითქმის ფერადი აყლია!

— რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ... — ეს შესაძლებლობა იცით? ამჟამად ეს ინდივიდუალური ბაზა შეკვეთილია ისეთი მძლავრი ბაზა შეკვეთილია, ბრიგადებისა და ბრიგადების ზრდას, განმტკიცებას.

რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში ცოცხალ, საინტერესო მუშაობას ეწევა 285 აგიტ-პატრონი, შექმნილია 64 პოლიტსკოლა, ეს, სადაც მეცადინეობას უნარიანად უკავშირებენ თავიანთი მეურნეობის კონკრეტულ საკითხებს.

ბევრი რამ მისცა თეთრწყაროელებს რაიონის ოლქის სასოფლო რაიონის კო-ლმეურნეობებთან დამეგობრებამ. ს-ფელ ჯოჯოშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ბეკაურმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის ჩამოსვლამ ჩვენთან და ჩვენი რაიონის დელეგაციას ყოფნამ სასოფლოებთან სასარგებლო შე-ედეგი გამოიღო. რიაზანელ კოლმეურნე-თა ბეკონი კარგი გამოცდილება უკვე და-ნერგილია რაიონის საკოლმეურნეო ფერ-მებსა და ბრიგადებში.

დიდი ღონისძიებები განახორციელა რაიონულმა კომიტეტმა საკოლმეურნეო კადრების შერჩევისა და განაწილებისა, შრომის სწორი ორგანიზაციის, ანაზღაუ-რების ახალი პროგრესული მეთოდის დანერგვის საქმეში.

თეთრწყაროელთა პრაქტიკიდან ნათ-ლად ჩანს შრომადღეებიდან ფულად ანა-ზღაურებაზე გადასვლის უპირატესობა. დელეგატთა უმრავლესობას მოჰყავდა სა-ინტერესო შედარებები, თუ ამის შემდეგ როგორ გაიზარდა კოლმეურნეთა მატე-რიალური დაინტერესება. ორხორტის კო-ლმეურნეობაში კი, სადაც დღემდე ფუ-ლად ანაზღაურებაზე არ გადასულან, შედარებით დაბალია შრომის სტიმული, ამიტომაც აქ მეცხოველეობის პროდუქ-ტების ეროი წლის გეგმაც ძლივს შეაა-ოულეს.

ტრიბუნაზეა კომკავშირის რაიკომის მდივანი თ. კაკელიძე. იგი ლაპარაკობს კოლმეურნე ახალგაზრდობის მიერ გაწე-ულ შრომაზე, მათს ბევრ კარგ თაოსნო-ბასა და წამოწყებაზე, შრომითს აღზრდა-ზე.

— წელს 200 საშუალო სკოლა-დამთა-ვრებული ჭაბუკი და ქალიშვილი გაიგზა-ვნა მეცხოველეობის ფერმებში სამუშა-ოდ. ბევრგან იქმნება ახალგაზრდული ფერმები და ბრიგადები. კომკავშირე-ლები და ახალგაზრდები ბევრგან შრომის სასწაულებს ახდენენ.

თ. კაკელიძემ ამავე დროს გულისტკი-ვილით აღნიშნა, რომ სოფლების დაღეი-თისა და კოდის ახალგაზრდობის ნაწილი კვლავ უსაქმურობს. არ არის ჩაბმული სასარგებლო შრომაში.

კონფერენციის სხვა დელეგატებმაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები იმისა, რომ რაიონის სოფლის მშრო-მელებს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებე-ლი რეზერვი აქვთ.

მანგლისის სადაბო საბჭოს თავმჯდო-მარეს მ. ავაქოვმა, კოდის კოლმეურნე-ების სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ა. მიკირტუმაშვილმა და სხვებმა ილაპა-რაკეს მექანიზაციის გონივრულად გამოყ-ენებაზე. ა. მიკირტუმაშვილმა მოიყვანა საინტერესო ციფრები იმის შესახებ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მათს კოლმეურნეობაში თითქმის ერთი ხუთად გაიაფდა ცენტნერი სიმინდის მოყვანა.

დელეგატებმა ბევრი საინტერესო წი-ნადადება წამოაყენეს:

— წელს თვითეულ საფურაკე ძროხა-ზე, აღებულ ვალდებულებასთან შეფა-რებით, 500 ლიტრით მეტ რძეს მივალ-ებთ!

— პროდუქციის თვითღირებულებას ერთიანობად შევამცირებთ!

— უახლოეს წლებში რაიონის კოლ-მეურნეობათა ფულად შემოსავალს 100 მილიონ მანეთამდე ავიყვანთ!

ერთი შეხედვით, შეიძლება ეს ყველა-ფერი ზოგიერთს იოლად მოეჩვენოს, ან შეიძლება იფიქრონ, რომ თეთრწყაროელებს თავიდანვე იოლი გეგმები ხელაღებით შეედგინოთ და ამიტომაც წლიური გეგმის ორმაგად და სამმაგად გა-ზრდა ასე მოკლე დროში არაფრად მიიჩნიეთო. არა, ეს არ იქნება მართ�aლი! მათი გეგმები რეა-ლური, მაგრამ ისინი არ სჯერდე-ბიან, მას, აკლენენ ახალ-ახალ რეზერ-ვებს, აძლიერებენ ამ რეზერვებს, რომ უფრო დიდი მასშტაბით გაბალონ შემ-დეგში კვლავწარმოება.

რას ვარაუდობენ ისინი?

პირველ რიგში იმას, რომ როცა ერ-თიორად ზრდიან პირუტყვის სულადობ-ას, ითვალისწინებენ ერთიორად მეტი საკვების დამზადებასაც, ახალგაზრდა კა-ღრებით ავსებენ ფერმებსა და ბრიგა-დებს, ითვალისწინებენ შრომატევად სა-მუშაოთა სრულ მექანიზაციას, პარტიუ-ლი ორგანიზაციების უფრო შემოქმედე-ბით და ორგანიზატორულ მუშაობას.

ყოველივე ამის დადასტურება ნათ-ლად შეიძლება სოფელ დურნუკის კოლ-მეურნეთა ბაგალითით, რაზედაც კონფე-რენციის მონაწილეებმა ბევრი ილაპარა-კეს.

თუ კი დურნუკელმა კოლმეურნეებმა მიაღწიეს, რომ მომდინარე წელს საჯერ გაედიდებინათ ხორცისა და სხვა პროდუ-ქტების წარმოება, ირხოტის, დაღეთისა და ჩხიკვთა კოლმეურნეობებიც ხომ მის გვერდით არიან? პირობები ხომ ერთნაი-რი აქვთ? მაშ რატომ ჩამორჩნენ ეს კო-ლმეურნეობები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში?

პასუხი ერთია, და ეს პასუხი პარტი-ული კომფერენციის გადაწყვეტილებაშია — გონივ-რულად გამოვიყენოთ სა-კოლმეურნეო წარმოების ყველა რეზერვი!

კონფერენციის მუშაო-ბაში მონაწილეობა მიი-ღო საქართველოს კომ-პარტიის ცენტრალ უ ი კომიტეტის მეორე მდივა-ნმა ამხ. პ. ვ. კოვანოვმა. მან სიტყ-ვა წარმოთქვა, რომელითაც თეთრ-წყაროელი კომუნისტების ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის პრო-დუქტების წარმოების გადიდების პერს-პექტივებზე, თვითღირებულების შემცი-რებაზე, შრომის ორგანიზაციის უფრო გონივრულად მოწყობის საკითხებზე.

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლე-ნუმი. პლენუმმა პირტიის რაიკომის პრ-ველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ბეკაური, მეორე მდივნად — ე. ელბაქიძე, ხოლო მდივნად — ვ. თეთრწყაროელი.

ა. ზურაშვილი,
ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ციისფერი აღი გიზგიზებს

გაზი მკვიდრდება თბილისელთა ყოფაცხოვრებაში

უკვე მესამე წელიწა-დია გრძელდება მუშაობა თბილისის გაზიფიკა-ციისათვის — საწარმოე-ბის, დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახ-ლების საქვაბე მეურნეობებში, აგრე-თვე მშრომელთა ბინების სამზარეუ-ლოებში საწვავად ბუნებრივი გაზის გამოყენებისათვის. ბუნებრივი გაზი, როგორც ცნობილია, ითვლება ყველა-ზე მაღალკალორიულ, იაფ საწვავად.

თბილისის საგაზიფიკაციო სამუშაოე-ბის შესრულება დაწყებულ იქნა 1958 წლის მეორე ნახევარში მშრომელთა ბინებში თხევადი გაზის ბალონების გა-მართვით. 1958 და 1959 წლებში ქალაქ-ში სულ გამართულ იქნა 8.200 გაზბა-ლონური დანადგარი. წელს კი მარტო 9 თვის განმავლობაში დამატებით იქნა გამართული 2.700-მდე გაზბალონური დანადგარი იმ, რომ ამჟამად თბილისში თხევადი გაზით სარგებლობს 11.000-ზდე ოჯახი.

თხევადი გაზის საწვავად გამოყენების მასშტაბი შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდება, ვინაიდან ქალაქის ყვე-ლა უბანსა და კუნჭულში როდია მო-სახერხებელი ბუნებრივი გაზის განმანა-წილებელი ქსელის მოწყობა. ქალაქის მეტ წილ უბნებში ბუნებრივი გაზის ქსელის მოწყობის კვალობაზე გაზბა-ლონური დანადგარები თანდათან შეიც-ვლება ბუნებრივი გაზის მიმღები და-ნადგარებით, გაზბალონები კი გადატა-ნილ იქნება ქალაქის მახლობელ და-სახლებულ უბნებში.

თბილისის საგაზიფიკაციო სამშენებ-ლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრუ-ლებლად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭომ შექმნა სპეციალური სამშენებლო ორგანიზაცია — ტრესტი „თბილგაზმშენი“.

თავისი ჩამოყალიბების პირველი, 1958 წლის განმავლობაში ტრესტის კო-ლექტივმა მოაწყო ქუჩებში გაზგანმანა-წილებელი ქსელი 15 კილომეტრ საერ-თო მანძილზე. შემდგომი 1959 წლის განმავლობაში გაზგანმანაწილებელი ქსელის საერთო სიგრძე გადიდებულ იქნა 70 კილომეტრამდე. დიდი ოქტო-მბრის სოციალისტური რევოლუციის 43 წლისთავისათვის კი ქალაქის ქუჩე-ბში მოწყობილი გაზგანმანაწილებელი მაგისტრალებისა და განშტოებების სა-ერთო სიგრძე უკვე 110 კილომეტრს აღემატება, ხოლო აქედან 85 კილო-მეტრი სიგრძის გაზსადენი ქსელი უკვე ექსპლოატაციაშია, სავსე გაზით. თბილგაზმშენის კოლექტივს გადაწყვეტ-ილი აქვს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთა-ვის საიუბილეო დღეებისათვის ქსელის სიგრძე გაადიდოს 140 კილომეტრამდე, ხოლო ბუნებრივი გაზის ინდივიდუა-ლურ მომხმარებელთა რიცხვი, გაზბა-ლონებით მოსარგებლეთა ჩაუთვლელ-ად, ახლანდელი 2.000 ოჯახიდან აიყ-ვანოს 13.000 ოჯახამდე.

მშრომელთა ბინების დიდი ნაწილი, რომელთა ჩართვაც გაზგანმანაწილებელ ქსელში განზრახულია უახლოეს მომა-ვალში, მდებარეობს საბურთალოსა და ვაკის უბნებში. საბურთალო-ვაკეზე უკ-ვე გაყვანილია 22 კილომეტრი საერთო სიგრძის გაზგანმანაწილებელი რგოლუ-რი მაგისტრალი, რომელიც უკვე ჩარ-თულია მოქმედ ქსელში და ამასთან და-წყებულია ცალკე საცხოვრებელ სახ-ლებში და ბინებში გაზის შეყვანა. ბი-ნების ჩართვა ქსელში თანდათანობით ინტენსიურად და მასობრივად მიმდინ-არეობს იმ ვარაუდით, რომ საქართვე-ლოს საიუბილეო დღეებისათვის 26 კო-მისრის, ლენინის, ორჯონიკიძისა და სტალინის რაიონებში დაასახლებ-ლებს საშუალება ექნეთ 13.000 საბჭოთა-ში საადგილსამყოფოდ ქურებში ბუნებ-რივი გაზის ცეცხლი აანთონ.

ტრესტ თბილგაზმშენის კოლექტივი ახლა დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ქა-ლაქში არსებული საქვაბე მეურნეობე-ბისა და საწარმოების გადასაყვანად ბუნებრივი გაზის გამოყენებაზე. ამ სა-მუშაოების შესრულებას მეტად დიდი ყურადღება ექცევა, რადგან ამაზე და-მოკიდებულია ზამთრობ-ით, შენობათა გათბობის ხეზონში თბილისის საჰაერო აუზის დაცვა გაჭუჭ-ყიანებისაგან.

ფაბრიკა-ქარხნებში ბუ-ნებრივი გაზის შესაყვანად უკვე შესრულებულია დი-დი მოცულობის სამუშაო-ები. თბილისის მრეწვე-ლობის 85-მდე დიდი სა-წარმო გადაყვანილია ბუ-ნებრივი გაზის გამოყენე-ბაზე. ეს საწარმოებია თბილისის თბოელექტ-როცენტრალი, კიროვის სახელობის ჩარხსამშენე-ბლო და ავჭალის შუშის ქარხნები, მაუდ-კამოლი-სა და კერამიკული კომბი-ნატები, საბურთალოს აგუ-რის მექანიკური ქარხანა, ფეხსაცმლის პირველი ფა-ბრიკა და ა. შ. ეს სა-წარმოები გაზის ყველაზე დიდი მომხმა-რებლები არიან თბილისში.

გაზიფიკატორების სოციალისტური ვალდებულებაა 7 ნოემბრისათვის ვაკე-ში, ჭავჭავაძის პროსპექტზე მოქმედი 5 საქვაბე მეურნეობა გადაიყვანონ გა-ზზე, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის-თავის საიუბილეო დღეებისათვის უზ-რუნველყონ საწვავად გაზის გამოყენე-ბაზე სულ ცოტა 80 საქვაბე მეურნეო-ბის გადაყვანა. ამ ვალდებულებას გა-ზიფიკატორები პირნათლად ასრულე-ბენ. უკვე მთავრდება პირველი 5 საქ-ვაბე მეურნეობის გადაყვანა ბუნებრივ გაზზე და ეს მეურნეობები 7 ნოემბრის-თვის მზად იქნებიან ახალი საწვავით ამუშავებისათვის. ამასთან მთავრდება გაზბამდები მოწყობილობის მონტაჟი 50-მდე საქვაბე მეურნეობაში და სწრა-ფი ტემპით მიმდინარეობს ბინების ჩარ-თვა გაზგანმანაწილებელ ქსელში.

უნდა ითქვას, რომ გაზის სამომხმა-რებლო პუნქტების ჩართვა ქსელში მო-ითხოვს მრავალნაირი სამუშაოების შესრულებას, მემონტაჟეთა დიდ სიბე-ჯითეს, დაკვირვებულობას. თბილისელი გაზიფიკატორების სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ასეთი ხასიათის სა-მუშაოთა შესრულებაში ჯერ არ ჰქონ-ნიათ არც ერთი არასასიამოვნო შემთ-ხვევა.

მინდა აქვე აღვნიშნო ის ხელშემშ-ლელი გარემოებანი, რაც აფერხებს ჩვენ-ი ქალაქის გაზიფიკატორების მუშაო-ბას. ხშირ შემთხვევაში პროექტებში არ არის ხოლმე აღნიშნული, მაშასადამე, არც სამუშაო ნახაზებზეა მონიშნული ქუჩებში არსებული სხვადასხვა დანიშ-ნულების მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომლებიც თავს იჩენენ ხოლმე მოუ-ლოდნელად, როცა ქუჩაში ტრანშეა გა-ბვეკვეს. ამის გამო საჭირო ხდება მუ-შაობის შეჩერება, პროექტებში კორექ-ტრების შეტანა, გადათხრილი ქუჩა გა-უვალად რჩება საგრძნობი ხნის განმ-ავლობაში და, ბუნებრივია, ეს მოსახ-ლეობის დამსახურებულ უკმაყოფილებ-ას იწვევს.

დიდად გვიშლის ხელს ავტოტრანს-პორტის სიმცირეც ქუჩებიდან მიწის გა-ტანასა და სამაგიეროდ ბალასტის შე-მოტანაში. გვაკლია არაკვალიფიციური მუშახელი, ხშირია შეფერხებები ჩვენთ-ვის საჭირო არმატურისა და სხვა დეტ-ალების მოპარაგებაშიც.

მიუხედავად ამისა ჩვენი კოლექტივი პირობას იძლევა, რომ ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი-სათვის თბილისის გაზიფიკატორები უზ-რუნველყოფენ ნაკისრი ვალდებულებ-ების შესრულებას, ახალი შრომითი წარმატებების მოპოვებას.

ალ. ჩიტაიშვილი,
ტრესტ თბილგაზმშენის მმართველი.



პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი. (საკ-დესს). გუშინ პოლიტიკური კომი-ტეტის დღის სხდომაზე დისკუსია-ში განიხილეს ბაზების შესახებ გაძვი-დნენ ფილიპინების, გვატემალის, ფინეთის, მაროკოს წარმომადგენ-ლები და ჩანკაიშელი.

ფილიპინების დელეგატმა, კერ-ძოდ, წინადადება შეიტანა, რომ საერთო დისკუსიის ბოლოს ნეიტ-რალური ქვეყნის წარმომადგენელს თავმჯდომარეობით შეიქმნას მუშა ჯგუფი სსრ კავშირისა და ამერ-იკის შეერთებული შტატების წარ-მომადგენლთაგან, რომელიც განხ-ილულ საკითხზე შეიმუშავებს რეზ-ოლუციის პროექტის ზოგად ტექსტს.

ოაღუფ ენკელმა (ფინეთი) გამოთ-ქვა რწმენა, რომ ჟენევაში შესაძ-ლებელია მიღწეულ იქნას შეთანხმ-ება ატომგემლის იარაღის გამოცდ-ის აკრძალვის შესახებ სათანადო კონტროლით. ამავე დროს მან აღ-ნიშნა, რომ, თუმცა ასეთი შეთანხმ-ება მნიშვნელოვანი წვლილი იქნ-ებოდა ქვეყნებს შორის ნდობის შექმნაში, მაგრამ თავისთავად იგი არ წარმოადგენს განიარაღების ღონ-ისძიებას. ფინეთის წარმომადგენ-ელმა განაცხადა აგრეთვე, რომ არ აპირებს შერეულებს უთანხმოებებ-ზე დიდ სახელმეფოთა შორის, მაგრამ მიაჩნია, რომ კომიტეტს არ შეუძლია თავს მოიხვიოს თავისი შეხედულებანი ამა თუ იმ მხარეს.

მმგზიდობის დაცვა, განაცხადა მაროკოს დელეგატმა შოფრიმ, საყოველთაო ზრუნვის საგანია. განიარაღება უპირველესი და მთავარი საკითხია, რომ შეიქმნას ნდობა ქვეყნებს შორის და მშვიდობიანი თანაარსებობა, და აქ პატარა ქვეყნებს, რომლებიც ბლოკებში არ შედიან, შეუძლიათ დადებითი როლი შეასრულონ.

დასასრულ მაროკოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიდი ნაბიჯი იქნებოდა მშვიდობისაკენ ის, რომ ნება არ დართონ შექმნან ატომური ბაზები აფრიკის მიწ:-წყალზე.

აშკარა პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი, (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენ-ტოს კორესპონდენტი ამერიკის გუანტა-ნამოს (კუბაში) ბაზიდან იუწყება, რომ ამ ბაზის სარდალმა შონვეისმა ბრძანა 4 ნოემბერს მოეწყოს „სასწავლო ვარჯონა“, რომელიც ამ ბაზაზე თავდასხმის ინსცე-ნირება იქნება და, თვითონ შონვეისს აღიარებრმ, წარმოადგენს „ძალის ახალ დემონსტრაციას“. ვარჯონაში, — წერს კორესპონდენტი, — მონაწილეობას მიი-ღებენ ტანკები, იქ, სადაც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება. უახლესი რეაქ-ტიული ავიაგამანადგურებლები და რეაქ-ტიული ბომბდამშენები გუანტანამოს ორი აეროდრომიდან უზრუნველყოფენ სახმელეთო ძალების ტაქტიკურ მხარდა-ჭერას. მანევრები დაიწყება 5 ნოემბერს დილის 7 საათსა და 30 წუთზე სახანძრო სადგურის სამწუთი-ანი სირენის ხმაზე და გაგრძელდება დი-ღლის 9 საათამდე. ტრის პატრულები დადგენენ ბაზის გარშემო დადგმულ ღო-ბეზე და ხელი იგდებენ მთელ რიგ სა-გუშაგო პოსტებს კუბის ტერიტორიის საზღვარზე.

საზღვაო ქვეითი ჯარის რამდენიმე ასე-ული მეზღვაური ჯარისკაცი შეასრულებს თავდამსხმელის როლს. საზღვაო ქვეითი ჯარის პოლკოვნიკი მერიტ ეიდელმანი იქ-ნება სახმელეთო თავდაცვის სარდალი.

მდგომარეობა კონგოში

ბელგრადი, 3 ნოემბერი. (საკდესი), კონგოს პროვინციული მთავრობები და პარლამენტები, ისევე როგორც კონგოს მოსახლეობა, მხარს უჭერენ კონგოს კა-ნონიერ მთავრობას, განაცხადა ტანიუგის საგენტოს კორესპონდენტისათვის მიცე-მულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ.

შეეხო რა მობუტუს „უმაღლეს კომი-სართა საბჭოს“ კანონის საწინააღმდეგო საქმიანობას, ლუმუმბამ აღნიშნა, რომ ყველა ახლანდელი კომისარი სწავლობდა ბელგიაში, ბრიუსელში. სწავლა კი შეეძ-ლო მხოლოდ იმას, ვინც ბელგიის კო-ლონიური მმართველობის ასპოლიტიკა-ნი მოამზრე იყო. ბელგიელთა დაბრუნება ფართო მასშტაბით და მათი შეღწევა ად-მინისტრაციულ აპარატსა და სხვა დაწუ-სებულებებში ადასტურებენ უმაღლეს კომისართა საბჭოს ნასიათს, უჩვენებენ კონგოელ ხალხს, თუ ვის ემსახურებიან ისინი.

კონგოელები, თქვა ლუმუმბამ, ბელგი-ელთა ამ დაბრუნებას ხვდებიან როგორც კოლონიზატორთა და ექსპლოატატორთა დაბრუნებას, რომელთა ბატონობას ისინი დიდხანს განიცდიდნენ საკუთარ ზურგზე და რომელთაც ბრალი მუდმივად კონგოს ახლანდელ კრიზისსა და ანარქიაში.

ლუმუმბამ კატანგის თვითმარქვია მმართველი ჩომბე დაახასიათა როგორც საფარი, რომლის ზურგს უკან მოქმედებ-ენ ბელგიელი მრჩევლები და ინსტრუქ-ტორები.

კონგოს პრემიერ-მინისტრმა განაცხა-და, რომ არმიაში მეტი წილი ჯარისკაც-ები კანონიერი მთავრობის მხარეზე არიან.

კრიზისი კონგოში, თქვა დასასრულ ლუმუმბამ, პოლიტიკური კრიზისია, და მხოლოდ პარლამენტმა უნდა აღმოფხვრას იგი.

პარიზი, 3 ნოემბერი. (საკდესი). მო-ბუტუ ცდილობს შეიპაროს უცხოეთის მონოპოლიების მხარდაჭერა და დახმა-რება, რომლებიც დაინტერესებულნ არიან კონგოს ბუნებრივი სიმდიდრეებით შემდგომი ძარცვით.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუ-წყება, დღეს ბრაზავილზე გაგზავნ პარიზს გაფრინდა მობუტუს „კეთილი ნების მი-სია“, რომელშიც არმიის ოფიცრები შე-დიან.

„მისია“ ერთი თვის განმავლობაში ეწევა საფრანგეთს, ამერიკის შეერთე-ბულ შტატებს, კანადას, ბელგიასა და დასავლეთ გერმანიას.

პარიონულ პარტიულ კონფერენციებზე

მარიონეტები ტერორს განაგრძობენ

ლონდონი, 4 ნოემბერი. (საკდესი), კონგოს პროვინციების კატანგისა და კა-საის სეპარატისტული „მთავრობები“ განაგრძობენ დაძმენ ოპერაციებს ამ ტომების წინააღმდეგ, რომლებიც აჯანყ-დნენ მარიონეტების ჩომბესა და კალონ-ჯის სამხედრო-პოლიციური რეჟიმების წინააღმდეგ.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყებ-ა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენ-ციაზე ლეოპოლდვილში განაცხადა, რომ კატანგის ქალაქ კაბონგომი ჩომბეს ჟან-დარმებმა მოკლეს შვიდი და დაჭრეს ერ-თი ბალუბა. კოლვეზზი, სადაც აჯანყ-ება უკვე თვენახევარზე მეტია გრძელდ-ება, მოირგო სადამსჯელო ექსპედიციის დროს მოკლეს 15 და დაჭრეს 20-ზე მე-ტი კაცი.

განცხადებებში, რომელიც ლეოპოლდ-ვილში გამოაქვეყნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდი-�კონგოს სპეციალური წარმომადგენ-ლის მთავარმა სამხედრო მრჩეველმა რიკჰმ, ხაზგასმულია, რომ კასაში „და-ზვერვის ოპერაციებში“ აქტიური მონაწი-ლეობას იღებენ ბელგიელი ოფიცრები.

კვიპროსი—ვულკანზე

ლონდონი, 3 ნოემბერი. (საკდესი). როგორც კვიპროსის გაზეთი „ეთნიკა“ (კვიპროსის დემოკრატიული კავშირის პარტიის ორგანო) იუწყება, „ინგლისის სამხედრო ხელისუფალნი კვიპროსზე ქმნიან ატომგემლის იარაღის საწყობებს“.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამჟამად აკროტირის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ამენებენ მოწისქვეშა საწყობებს, საიდა-ნაც ატომურ ბომბებს გადაიტანენ მუდ-მივ საწყობებში. ამ საწყობების გარშემო გათხრება განიერი წყლის არხები.



საერთაშორისო ჯეჯეუბი, ცნობები, ამოცანები

ტელეგრაფი გვატყობინებს

ამერიკის ბაზები ვესტ-ინდოეთში

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი. (საკ-დესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნიშნლის სააგენტო ლონდო-ნიდან იუწყება, აქ დაიწყო მოლა-პარაკება ეერთეულ შტატებსა, ინგლისსა და ვესტ-ინდოეთს შორის ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე ამერიკის ბაზების შესახებ. მოლა-პარაკება მიმდინარეობს დახურულ კარში.

შედგენილია ავსტრიის ახალი მთავრობა

ვენა. 3 ნოემბერი. (საკდესი). ავსტრიის პრეზიდენტი ადოლფ ხერფი დღეს დაეთახხმა ავსტრიის მთავრობის გადადგომას და დაავა-ლა ი. რაბს შეადგინოს ახალი მთავრობა.

დღესვე პრეზიდენტმა ა. შერფმა ფიცი დაადებინა ახალ კოალიციურ მთავრობას, რომელშიც შედიან ავსტრიის სახალხო პარტიისა და ავსტრიის სოციალისტური პარტიის ხარძომადგენლები.

იაპონიის ფაშისტთა მეთაური მიცემულია სამართალში

ტოკიო, 4 ნოემბერი. (საკდესი). ტოკიოს რაიონულმა პროკურატურ-ომ დღეს გადაწყვიტა სამართალ-ში მიაცეს ფაშისტური ორგანიზაც-იის „დიდი იაპონიის პატრიოტულ-ი პარტიის“ მეთაური ბინ აკაო, რომლის წევრიც იყო ასასინმა მკვლელი იამაგუტი.

ბინ აკაო ამჟამად დაპატიმრებულ-ია და პოლიციაში იმყოფება. მაგრამ, აკაო მოითხოვს განთავი-სუფლებას „საარჩევნო კამპანიის“ წარმოებისათვის. იგი ქვეყნა პალატის დეპუტატობის კანდიდატად დასახ-ელა ტოკიოს მე-7 საარჩევნო ოლქმა.

დემონსტრაცია, პროტესტი...

ლონდონი, 4 ნოემბერი. (საკდესი). „კაპიტულაცია, რომელიც ინგლისს უ-მეტესი პაიკად ხდის ცივ ომში“ — ასე აფასებს ლეიბორისტული ყოველკვ-ირეული „ტრიბუნი“ ინგლისის მთავრო-ბის თანხმობას, რომ შოტლანდიაში შე-იქმნას „პოლარისის“ რაკეტებიანი ამერ-იკის წყალქვეშა ნავების ბაზა. პროტეს-ტებს ამ საბოლო გადაწყვეტილების წი-ნააღმდეგ სულ უფრო ფართო მასშტაბი ეძლევა. ლეიბორისტული ჟურნალი „ნიუ სტეიტსმენი“ აღნიშნავს იმ „საშინელ საფრთხეს ინგლისისათვის, რასაც მას უმზადებს მთავრობის პოლიტიკა“. „ნიუ სტეიტსმენი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის ბაზის შექმნა უდიდეს საფრ-თხეს შეიცავს ინგლისელი ხალხისათვის ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ საპასუხო მოქმედების შემთხვევაში.

„ბაზის მშენებლობა „პოლარისის“ რა-კეტებისათვის და შეერთებული შტატე-ბის გეგმა „პოლარისის“ რაკეტებს ბაზა შეუქმნან დასავლეთ ევროპაში, — წერს ჟურნალი, — აშკარა ცდაა გაადიდონ ატომური ტვირთი, რომელიც ჩვენ უნდა ვზიდოთ მხოლოდ და მხოლოდ ამერი-კის შეერთებული შტატების ინტერესე-ბისათვის“.

გუშინ გრინოკში გაიმართა ქალაქის მოსახლეობის დემონსტრაცია ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ მდინარე კლაიდზე ამირებენ შექმნან ბაზა ამერიკის წყალქვეშა ნავებისათვის, რომლებიც აღჭურვილი იქნება „პოლა-რისის“ რაკეტებით.

პარლამენტის ლეიბორისტ წევრთა დი-დმა ჯგუფმა, მათ შორის ყოფილმა თავ-დაცვის მინისტრმა შინუელმა, თემთა პალატაში განაცხადა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ შოტლანდიაში იქმნება ბაზა ამერიკის წყალქვეშა ნავებისათვის. ლეიბორისტმა ლესლი ჰეილმა თქვა, რომ, როგორც ჩანს, ამერიკელებს ნებართვა მიეცემათ გამოიყენონ მასობრივი მოსპობის იარაღი ინგლისის შინაგანი ზღვებიდან ინგლისის მთავრობასთან კონსულტაციის გაუწევლად.

სპორტის ამბები

საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთში

გუშინ და გუშინწინ საზღვარგარეთ საერთაშორისო მატჩების გასაძართავად გაეშგზავრენ არმიის ცენტრალური სას-პორტო კლუბის, ბაქოს „ნეფტიანიკის“, მოსკოვის „დინამოს“, დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის, თბილისის „დინამოსა“ და სხვა გუნდები. არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნ-დი გამოვა ინდონეზიაზი და კამბოჯაში, ბაქოს „ნეფტიანიკი“ — სუდანსა და ეთიოპიაში, დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი — თურქეთ-ში, მოსკოვის „დინამო“ — გერმანიაში, თბილისის „დინამო“ — ინგლისში.

კიევის დინამოელები თავიანთ მეორე ტურნეს გამართავენ გერმანიის ფედერა-ციულ რესპუბლიკაში.

მსოფლიო პირველობა ფრანგბურთში

ბრაზილიაში დაიწყო მსოფლიო პირ-ველობის გათამაშების ფინალური შეხ-ვედრები ფრანგბურთში. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი ფინალურ ჯგუფში შეეჯდა ერთი გამარჯვებით, პირველი მატჩი მან ამერიკის შეერთებული შტატების გუნ-დთან დაამთავრა გამარჯვებით ანგარი-შით 3:0.

„შახტიორმა“ პირველი მატჩი მოიგო

3 ნოემბერს სტალინოში შედგა პირველი გადასასვლელი მატჩი ფეხბურთში ეკრაინის ჩემპიონის ზაპოროჟიეს „მეტ-ალურგისა“ და სტალინოს „შახტიორ-ის“ გუნდებს შორის. გამიმარჯვა „შახ-ტიორმა“ ანგარიშით 2:0.

XIV საჭადრაკო ოლიმპიადა

ლაიპციგი, 3 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მოეწყო ფინალური შეჯიბრების მეექვსე ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ორი გადადებული პარტია უნგრეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მატჩი-დან. სპეციალისტები ამ პარტიებს აფასებ-დნენ როგორც ხელსაყრელს ამერიკელი მოჭადრაკეებისათვის.

თამაშის განახლების შემდეგ ახალგაზ-რდა უნგრელმა გროსმაისტერმა პორტი-შმა, მედგარი დაცვის მიუხედავად, თავი დამარცხებულად ცნო პარტიაში საერთა-შორისო გროსმაისტერ ლომბარდისთან. მაგრამ შეორე პარტიაში უნგრელი ბი-ლეკი დიდი ოსტატობით იცავდა თავს ამერიკელი ვაინშტეინის წინააღმდეგ და ზუსტი თამაშით ყაიმს მიაღწია.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტა-ტების გუნდმა მხოლოდ მინიმალურ უპი-რატესობას მიაღწია უნგრეთთან მატჩში (2,5:1,5 ქულა).

ინგლისელთა წინააღმდეგ დიდი წარ-მატება მოიპოვეს გერმანიის დემოკრა-ტიული რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა. წინა დღეს, შესვენების მომენტისათვის ანგარიში იყო 0,5:0,5. მაგრამ დღეს ახა-ლგაზრდა გერმანელმა ოსტატებმა გაა-მარჯვეს სამივე გადადებულ პარტიაში, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა მოეგ-როვებინათ 12 ქულა და დასწეოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მო

განა ეს დემოკრატია?!

ამერიკა, დოლარი და პრეზიდენტის არჩევნები

8 ნოემბერს პრეზიდენტის არჩევნებია ამერიკის შეერთებულ შტატებში. არჩევნები ტარდება მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი საზღვარგარეთ დაეცა ისე, როგორც არასოდეს; ამას აშკარად გრძნობენ ამერიკის რიგითი ადამიანებიც. მილიონობით ამომრჩეველს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, თუ რომელი პარტიის კანდიდატს მისცეს ხმა პრეზიდენტობაზე და საერთოდ ღირს თუ არა ხმის მიცემა. ეს იმიტომ, რომ ამერიკელ ხალხს ყველაზე მეტად აღელვებს მშვიდობის პრობლემა, დემოკრატიული უფლებების გაფართოება, ხოლო არც ერთი კანდიდატი არ აყენებს ისეთ პროგრამას, რომელსაც შეეძლებოდა გამოეწვია ამომრჩეველთა ენთუზიაზმი.

როგორია ამერიკა პრეზიდენტის არჩევნების ზღურბლზე? ამის შესახებ მოგვითხრობს ეს გვერდი.

ტიპიური სურათი წინასაარჩევნო ამერიკაში. ასეთი ბალანსირება საშიშია მხოლოდ ამ თავზე ხელაღებული ვაუბატონისათვის, რომელიც აგიტაციას ეწევა ნიქსონის სასარგებლოდ. „ომის ზღვარზე" ბალანსირება, რომელსაც პრეზიდენტობის კანდიდატები ეწევიან, საშიშია მთელი მსოფლიოსათვის. (ფოტოსურათი ფრანგულ ჟურნალ „პარი-მატჩიდან").

დამოკლეს მახვილი

თითქმის 30 მილიონზე მეტი კაცი მუშაობს ამჟამად ამერიკის ინდუსტრიის სხვადასხვა დარგში. მათ შორის 13 მილიონი — გადამმუშავებელ მრეწველობაში.

შრომის კირობები ამერიკის საწარმოთა უმრავლესობაში მეტად მძიმეა. ტექნიკური პროგრესის ყოველი ახალი მიღწევა გამიზნულია მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებისაკენ. ტეილორიზმი და ფორდიზმი, რომლებსაც ვ. ი. ლენინმა ქანცის გამოცლის „მეცნიერული სისტემა" უწოდა, თანამედროვე ამერიკელ მონოპოლისტთა ხელში კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება.

ფორდის საავტომობილო ქარხანაში მუშების შრომას კონტროლს უწევს სპეციალური აპარატი „ქრონოლოგი". ფორდის მუშათა პროფკავშირის ბიულეტენი ამ ავტომატის შესახებ წერს: ეს აპარატი აღრიცხავს საინფორმაციო ფიზიკურ ტანჯვის ნაწილსაც; აპარატი არ აღრიცხავს მხოლოდ მუშის დაქანცვას და იმ ტკივილის სიმძიმეს, რომლის აწევაც უხდება მუშას. ამ აპარატს „შეფუთობით ფორდის კომპანია აღწევს თავის მიზანს — გამოწეროს თვითეულ მუშას ენერგიის უკანასკნელი წვეთი".

ამერიკის პროპაგანდას ხშირად უყვარს ლაპარაკი 40-საათიან სამუშაო კვირაზე. მაგრამ მილიონობით ადამიანი ამერიკაში ფლობდე არ ღირსებია მას. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური მონაცემებითაც სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყოველი მეხუთე კაცი კვირაში მუშაობს 48 საათზე მეტს, ხოლო 6 მილიონზე მეტი კაცი — 55 საათზე მეტს.

შრომის ბარბაროსული ინტენსიფიკაცია დიდად მოქმედებს მუშას. შრომისუნარიანობაზე. ამიტომ მეწარმეებს კურსი იქიკენ აქვთ ფლებული, რომ სამუშაოზე მიიღონ ახალგაზრდები ორმოც წელზე ქვეკეთ. ამ ტენდენციას მუშათა კადრების შერჩევაში არც ბალავენ. ამას წინათ ჟურნალ „იუნაიტედ ნიუს ენდ უორლდ რიპორტაზ" გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ორმოცი წლის ასაკში თქვენ საკმაოდ მოხუცი ხართ, სამუშაოს ბევრი კარი თქვენთვის დაკეტილია". ცხადია, ამას კომენტარი არ ესაჭიროება.

მაგრამ კაპიტალისტური ქვეყნების და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პროლეტარიატის ცხოვრებაში ყველაზე საშინელია უმუშევრობა. ყოველ მუშას, რომელსაც ოჯახი აქვს და თავი „ბედნიერად" მიაჩნია, დამოკლეს მახვილივით ემუქრება უმუშევრობა. ოფიციალური მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე სრულ უმუშევართა რიცხვი არასოდეს არ ყოფილა მილიონზე ნაკლები. 1950 წელს უმუშევარი იყო 3 მილიონ 350 ათასი კაცი, 1958 წელს — 4 მილიონ 681 ათასი, 1960 წლის აპრილში — 4 მილიონ 200 ათასი, ხოლო სულ უკანასკნელი მონაცემებით მათი რიცხვი 4,5 მილიონზე მეტია. ამას უნდა მიემატოს ისინი, ვინც არასრულ სამუშაო დღეს მუშაობს.

უმუშევრობა, შაში ხვალინდელი დღისაგში, დემოკრატიული უფლებების მოჩვენებითობა და სიყალბე იწვევს კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებას. თუმცა მონოპოლისტური პროპაგანდა 24 საათის განმავლობაში ირწმუნება, ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასობრივი ბრძოლა გაქრა. მაგრამ ფაქტები სხვას ლაპარაკობენ. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო 42.700 გაფიცვა, რომლებშიც მონაწილეობდა 22 მილიონი კაცი! მარტო გასულ წელს 3.900 გაფიცვა იყო, მათგან ყველაზე ძლიერი იყო ფოლადის მდნობელ მუშათა გაფიცვა, რომელშიც 500 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას და რომელიც 116 დღეს გაგრძელდა.

პრეზიდენტობის კანდიდატები ნიქსონი და კენედი წინასაარჩევნო კამპანიებში მუშათა კლასს აძლევენ უხვ დაპირებებს. მაგრამ ამერიკის მუშებმა საეჭვონაკი ისტორიის გამოცდილებით იციან, რომ მათთვის არაკეთილი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი. ამიტომაც ისინი არჩევნებს უყურებენ როგორც სანახობას. სადაც მთავარ როლს ასრულებენ ფინანსური მაგნატები მაყურებელთა გასაბრუებლად.

ფერმერი გარგის...

ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტური კონკურენცია დღითიდღე ამცირებს ფერმერთა რიგებს. გასულ წელს ფერმერთა რიცხვი თითქმის ასი ათასით შემცირდა. ყოველ შტატში ყოველდღე იყიდება ფერმერთა მთელი ქონება და ისინი მთელი ოჯახით მიემართებიან ქალაქისაკენ. უკეთესი საარსებო წყაროს საძებნელად.

გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის" მიმომხილველის გამოანგარიშებით 1959 წელს 15 სასოფლო-სამეურნეო შტატში გაყიდული ფერმების რაოდენობა 1958 წელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზარდა. ამასთან ერთად გაიზარდა ტრაქტორების, ელექტროენერგიის, ბენზინის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ღირებულება. ამავე გაზეთში ფერმერი აიოვას შტატიდან აღნიშნავს, რომ ამჟამად იგი ვალდებულია გადიხადოს ტრაქტორში 75 პროცენტით მეტი, ვიდრე 1949 წელს, ხოლო ღორის ხორცის წარმოებით მიღებულმა მოსმა შემოსავალმა ამავე პერიოდისათვის იკლო 40 პროცენტით, სიმინდის წარმოებით მიღებულმა — 20 პროცენტით. ამ ფერმერმა თავისი შემოსავლით ვერ უზრუნველყო ოჯახი ცხოვრების მინიმალური პირობებით და იძულებულია გაყიდოს ყველაფერი და სამუშაო ეძებოს ქალაქში.

ამერიკაში ფერმერთა გაღატაკება იწვევს ადამიანური ტრაგედიის ათასნაირ შემთხვევებს. მაგალითისათვის ავიღოთ მეფრინველეობის ფერმის მფლობელის მორენის ბედი (კალიფორნიიდან). იგი წლების განმავლობაში ებრძოდა მსგავი ფერმერთა კონკურენციას, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ყველაფერი გაეყიდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა. ამ პატიოსანმა მშრომელმა „აყვანებულ" ამერიკაში, როგორადაც ზოგიერთ ობივატელს იგი მართლაც წარმოუდგენია, ვერ იპოვნა სხვა გამოსავალი.

ფერმერების მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად იზრდება მათი დაკალნება. უკანასკნელი მონაცემებით, ფერმერთა ვალი ამჟამად აღწევს თითქმის 20 მილიარდ მანეთს. ეს ფერმერთა საკუთრების საერთო ღირებულების დაახლოებით მეხუთედზე მეტი.

პრეზიდენტის წინა არჩევნებში რესპუბლიკური პარტია დაპირებას აძლევდა წვრილ ფერმერებს, რომ დაიცავდა მათ გალატაკებისაგან. მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა, დადგა მეორე არჩევნებიც, მაგრამ ფერმერთა მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, უარესდება. ამ ხნის მანძილზე წამოყენებულ იქნა ბევრი კანონპროექტი, პროგრამა „ფერმერებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ", მაგრამ მათი აზრი ძირითადად ის იყო, რომ ფერმერები



რგოლის უკანასკნელ ეტაპზე. ნახატი ა. ცვეტკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

თვითონაც ალიარებენ

ეიძლება ბევრს უცნაურად მოეჩვენოს, რომ ისეთ მდიდარ ქვეყანას, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, სახელმწიფო სკოლებში ოთახები არ ჰყოფნის მილიონობით ბავშვისათვის. მაგრამ ფაქტია, რომ მარტო გასულ სასწავლო წელს აღრიცხული იყო 140 ათასი საკლასო ოთახის ნაკლებობა. ეს მაშინ, როდესაც ამერიკის ხელისუფალნი მილიარდობით თანხებს არ იშურებენ გამალებული მეიარაღებისათვის. დივერსიებისათვის. ქვეყნის ნაციონალური ძვირფასეულის ხმოლოდ 3,33 პროცენტი იხარჯება დაწყებითსა და საშუალო განათლებაზე.

განათლების მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში წმინდა კლასობრივ ხასიათს ატარებს. და ახლოდან მდიდართა ხელერია. ფორმალურად განათლების მიღება უფასოა, მაგრამ მოსწავლეები იხდიან ფულს ბილეთიოთეკიან, სასკოლო სასპორტო მოედნებისთვის, საკლასო ოთახის კარადებით სარგებლობისათვის და სხვ. ასევე მოსწავლეებს ფულს იხდიან ისეთი საგნების სწავლისათვის, როგორიც არის საოჯახო საქმე, მანქანების აღურერილობა, ალგებრა და ქიმია. ამ გადასახადებით ბოლოდ ამერიკის ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ... ...